21. ფინანსური ინსტრუმენტები 27
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 28
23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 33
24. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 34
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 35

მმართველობითი ანგარიში.....36-39

წილი მსოფლიო

სს „თბილისის თამბაქო“

„ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე“

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს „თბილისის თამბაქოს“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ბასს-ის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირების მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- მმართველობით ანგარიშგებაში საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის განმარტებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-თან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 16 სექტემბერს:

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

ი.ი.ი. მახუტე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თბილისის თამბაქოს“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „თბილისის თამბაქოს“ („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს არსებითი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაციის ჩათვლით (ერთობლივად „ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ბასს-ის მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (მათ შორის საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტები) (პბეკ კოდექსი), საქართველოში ფინანსური აუდიტისთვის საჭირო ეთიკის მოთხოვნებთან ერთად და ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა პბეკ კოდექსის მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაშია ნაჩვენები, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში კომპანიის გაყიდვების 95% და 94%, შესაბამისად, მოდიოდა დაკავშირებულ მხარეებზე. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ ამასთან დაკავშირებით არაფერს არ ვაცხადებთ.

ნ. ი. ი. მ. მ. მ.

ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს კომპანიის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმენა, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე, შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ განვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის

განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდევ დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიშში მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევარჩიეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე, მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შედარებით, აგრეთვე, რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიშგება და ჩვენ მიერ ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არსებითად შეესაბამება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას; და
- მმართველობის ანგარიშში მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლით და შესაბამის რეგულატორულ ნორმატიულ აქტებს.

შოთა ნანიტაშვილი

დელოიტი და ტუშის სახელით

16 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო

სს „თბილისის თამბაქო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის
 (ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	44,984	42,666
ამონაგების თვითღირებულება	6	(25,402)	(27,241)
მთლიანი მოგება		19,582	15,425
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(4,830)	(4,567)
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები		(13)	(2)
ფინანსური შემოსავალი	8	1,906	1,816
ფინანსური ხარჯი	16	(1,036)	(1,061)
საკუროს სხვაობით გამოწვეული (ზარალი)/მოგება, წმინდა		(704)	19
გაუფასურების ხარჯი ფინანსურ აქტივებზე, წმინდა	14	(353)	(85)
სხვა შემოსავალი	9	1,251	169
სხვა ხარჯები	9	(1,028)	-
მოგება გადასახადამდე		14,775	11,714
მოგებიდან გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		14,775	11,714
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		14,775	11,714

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
 გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
 16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
 ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
 16 სექტემბერი 2025

9-35 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ილია ქანთარია

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	21,496	21,970
საინვესტიციო ქონება		758	790
გაცემული სესხები, გრძელვადიანი მარაგები, გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები	11 12	2,363 2,655	1,852 2,602
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,293	27,235
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	11,267	13,116
გაცემული სესხები, მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	11 14	133 15,268	- 11,363
გადახდილი გადასახადები		-	45
გადახდილი ავანსები		999	890
ფული და ფულის ექვივალენტები	13	3,279	141
სულ მიმდინარე აქტივები		30,946	25,555
სულ აქტივები		58,239	52,790
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		111	111
გაუნაწილებელი მოგება	15	42,643	39,569
სხვა განაწილება	20	(11,348)	(11,348)
სულ კაპიტალი		31,406	28,332
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები	16 17	893 35	- 953
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	20	9,252	10,627
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,180	11,580
მიმდინარე ვალდებულებები			
გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	18	6,256	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	19	1,228	2,880
ნასესხები სახსრები, მოკლევადიანი	16	9,169	9,998
სულ მიმდინარე ვალდებულებები		16,653	12,878
სულ ვალდებულებები		26,833	24,458
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		58,239	52,790

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

9-35 გვერდებზე მოცემული თანხმობები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ილია ქანთარია

სს „თბილისის თამბაქო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	სხვა განაწილება	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 1 იანვარი 2023		111	(13,021)	41,903	28,993
სულ წლის სრული მოგება		-		11,714	11,714
ფინანსური გარანტიის აღიარების შეწყვეტა	20	-	13,021	(6,038)	6,983
ფინანსური გარანტიის აღიარება	20	-	(11,348)	-	(11,348)
გაცემული დივიდენდები	15	-		(8,010)	(8,010)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023		111	(11,348)	39,569	28,332
სულ წლის სრული მოგება		-	-	14,775	14,775
გაცემული დივიდენდები	15	-	-	(11,701)	(11,701)
ნაშთი 31 დეკემბერი 2024		111	(11,348)	42,643	31,406

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

9-35 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის თამბაქო“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის
(ათას ქართულ ლარში)

	შენიშვნა	
	ა	
	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება დაბეგრამდე		
შესწორებები:	14,775	11,714
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	-
ფინანსურ აქტივებზე აღიარებული წმინდა გაუფასურების ხარჯი	626	646
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი	353	85
ფინანსური შემოსავალი	2	43
ფინანსური ხარჯი	9	-
სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩამოწერა	8	(1,816)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	16	1,061
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	9	(31)
	704	(19)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	15,655	11,683
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების და გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ზრდა	(4,258)	(382)
გადახდილი ავანსების ზრდა	(109)	(32)
მოკლევადიანი მარაგების კლება	836	1,002
გადასახდელი გადასახადების, მოგების გადასახადის გარდა, ზრდა/(კლება)	6,301	(2,589)
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების კლება	(1,649)	(28)
ცვლილება გრძელვადიან ბალანსებში		
გრძელვადიანი მარაგების ზრდა	(53)	(35)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა	45	1
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	16,768	9,620
გადახდილი პროცენტი	16	(1,036)
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან	15,732	8,567
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(137)	(228)
გაცემული სესხები	(547)	(92)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	(684)	(320)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
ნასესხები სახსრების მიღება	16	97,348
ნასესხები სახსრების გადახდა	16	(97,455)
გადახდილი დივიდენდები	15	(11,701)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	(11,808)	(8,164)
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა	3,240	83
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(102)	5
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	141	53
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	3,279	141

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

9-35 გვერდებზე მოცემული თანხმლები შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „თბილისის თამბაქო“

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „თბილისის თამბაქო“ („კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში 1998 წლის 6 ივნისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს საგადასახადო ორგანოებში რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 206093528. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა 7.

კომპანია დაკავებულია საერთაშორისო კომპანიებისგან წვდომის პროდუქციის შექმნით და შპს „გეოდიტრეზინგის“ და ექსპორტის კლიენტებისთვის თამბაქოს პროდუქტის ნაწარმის მიყიდვით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 100%-ით ფლობდა შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენი“.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო აქციონერები იყვნენ: მიხეილ ჩხარტიშვილი - 50% და ნათია ჩხარტიშვილი - 50%.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა იყო 155 და 179, შესაბამისად.

2. ახალი და შესწორებული ფინანსური საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების გამოყენება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებას ან წარდგენილ თანხებზე.

<p>შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“</p>	<p>კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები. ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილება და იმის ასახვას, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაქტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება. შესწორებებს არ ჰქონია რაიმე ზეგავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, რომელიც ლიკვიდობის დაცვითაა წარმოდგენილი.</p>
<p>შესწორებები სტანდარტში ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სტანდარტში ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები სახელწოდებით „მიწოდებლის ფინანსური გარიგებები“</p>	<p>კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 და ფასს 7 სახელწოდებით „მიწოდებლის ფინანსური გარიგებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.</p>

ნათია ჩხარტიშვილი

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

<p>შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში</p>	<p>კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დაწერა შესწორებები სტანდარტში ფასს 16. ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულება, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას. შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველი-მოიჯარეს შეიძლება ელიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდებოდა ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული. შესწორებების ფარგლებში, ბასს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაემატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლიდა და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება. გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.</p>
---	--

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და განახლებულ ფასს საბუღალტრო სტანდარტებს, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ძალაში ჯერ შესულა და, ზოგიერთ შემთხვევაში არ დაწერა შესაბამისი მხარეების მიერ:

<p>ფასს ს1 - მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები</p>	<p>მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება</p>
<p>ფასს ს2 — კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები</p>	<p>კლიმატთან დაკავშირებული განმარტებები</p>
<p>SASB სტანდარტების ცვლილებები</p>	<p>SASB სტანდარტების ცვლილებები მათი საერთაშორისო გამოყენებადობის გასაუმჯობესებლად</p>
<p>შესწორება სტანდარტში ბასს 21 ფასს 18</p>	<p>ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები</p>

ღირექტორები არ ელიან, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში,

3. ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის არსებითი პოლიტიკის შესახებ

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ გადახდილ სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელიც იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვისას ან იქნებოდა გადახდილი ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე იმის მიუხედავად, შეიძლება ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით უნდა გაიზომოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გაზომვისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები

Handwritten signature

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

გათვალისწინებდნენ ამავე მახასიათებლებს გაზომვის დღეს აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების ფასდადების პროცესში, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების ან/და განმარტების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია ამგვარ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 2 სტანდარტით რეგულირდება, იჯარის ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 16 სტანდარტით რეგულირდება და იმ შეფასებებს, რომლებიც სამართლიანი ღირებულების მსგავსია, მაგრამ ასეთი არ არის, როგორცაა ბასს 2 სტანდარტით გათვალისწინებული წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ან ბასს 36 სტანდარტით გათვალისწინებული აქტივის გამოყენების ღირებულება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულებ ის საზომები იყოფა 1-ელ, მე-2 და მე-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხილულია სამართლიანი ღირებულების გაზომვისას გამოყენებული მონაცემები და რა დატვირთვა გააჩნია ამ მონაცემებს მთლიანად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, რომლებიც განხილულია ქვემოთ:

- 1-ელი დონის მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომლებზეც პირს ხელი მიუწვდება გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის მონაცემები არის პირველ დონეში შესული განსხვავებული მონაცემები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ხილულია აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შემთხვევაში; და
- მე-3 დონის მონაცემები არის აქტივის ან ვალდებულების არახილული მონაცემები.

ფუნქციონირების უწყვეტობა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით რომ საწარმო ფუნქციონირებას განაგრძობს უწყვეტად და საადრეცხო პოლიტიკები მთელ პერიოდზე თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული. განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ასევე, გააანალიზა ბაზრებზე არსებული სიტუაციის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები შეფასებულია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ეს პირი ახორციელებს თავის საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულ ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები იქვითება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, გაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება. შემოსავალი და ხარჯი არ იქვითება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

ამონაგები. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შემოსავალი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, მიუხედავად იმისა, როდის იქნება გადახდილი. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების საფუძველზე, რომელზეც კომპანია მოელის, რომ ექნება უფლება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებით და გამორიცხავს მესამე მხარის სახელით შეგროვებულ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს პროდუქტს ან მომსახურებაზე. კომპანია თავის შემოსავალს კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით აფასებს, რათა დაადგინოს, მოქმედებს თუ არა როგორც პრინციპალი ან აგენტი.

კომპანია სიგარეტისა და აწყობილი ფილტრების გაყიდვის შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროის ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება. შემოსავალს აკლდება დაბრუნებები, ფასდათმობები და სხვა მსგავსი შეღავათები.

ინი მ. მ. მ. მ.

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ავანსებს, რომლებსაც საქონელი არ არის მიწოდებული 1 წელზე ნაკლებ პერიოდში. ტრანზაქციის ფასის განსაზღვრისას, ასანაზღაურებელი თანხა კორექტირდება ფულის დროის ღირებულების ეფექტით, თუ ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული გადახდების დრო აძლევს მომხმარებელს ან სუბიექტს მნიშვნელოვან სარგებელს მომხმარებლისთვის საქონლის გადაცემის დაფინანსებით. ასეთ პირობებში ხელშეკრულება შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს, რომელიც შეიძლება არსებობდეს იმისდა მიუხედავად, დაფინანსების დაპირება პირდაპირ არის მითითებული კონტრაქტში თუ იგულისხმება ხელშეკრულების მხარეების მიერ შეთანხმებული გადახდის პირობებით.

უცხოური ვალუტები. ტრანზაქციები ისეთი ვალუტაში, რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა), აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ნაკადები გადაყვანილია მოცემულ თარიღში დადგენილი კურსით. ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოშობილია საკურსო სხვაობით, შედის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული წლის ბოლოსთვის არსებული გაცვლითი კურსები წარდგენილია ქვემოთ:

	31/12/2024	31/12/2023
ლარი/აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/ევრო	2.9306	2.9753

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ერიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით ნაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესები კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე, ნაგულისხმევი მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ აქტივობას; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგებიდან გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგებიდან გადასახადის“ ქვეშ. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, მოსალოდნელია, რომ იქნება გადახდილი საგადასახადო ორგანოებისთვის ან მიღებული იქნება მათგან. სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „საგადასახადო ხარჯები“. ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზამ დაკარგა ეკონომიკური მნიშვნელობა. ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელით ბასს 12 სტანდარტით - „მოგებიდან გადასახადი“ გათვალისწინებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები აღარ არის რელევანტური.

თბილისის თამბაქო

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც დასაშვებ საწყის ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და, როდესაც საჭიროა, გაუფასურების რეზერვი.

მცირე სარემონტო და ტექნიკური მომსახურების სამუშაოების ხარჯები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზირდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განსაზღვრულია საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ფარგლებში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სარგებლიანობის ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

შეფასებული სარგებლიანობის ვადა, ნარჩენი ღირებულებები და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხოლო შეფასების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად. ცვეთის განაკვეთებია:

	<u>ცვეთის ნორმა</u>
შენობა-ნაგებობა	2-5%
მანქანა-დანადგარები	6-10%
სხვა ძირითადი საშუალებები	15-20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის დადგენილი თანხა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან, გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება შესაბამის მდგომარეობაში მისი სარგებლიანობის ვადის ამოწურვის პერიოდში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი რეალიზაციისას ან მაშინ, თუ აქტივის მოხმარების შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ ივარაუდება.

საინვესტიციო ქონება - საინვესტიციო ქონება არის ისეთი ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლისთვის ან/და კაპიტალის აფასებით მიღებული სარგებლისათვის (მათ შორის, ამგვარი მიზნებით მიმდინარე მშენებლობების შემთხვევაში). იგი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვისას ცვეთადარიცხული თანხა ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო სასიცოცხლო ვადის განმავლობაში და იანგარიშება წრფივი მეთოდით. საინვესტიციო ქონების შენობა-ნაგებობების ნაწილს ცვეთა ერიცხება 2-5%-იანი განაკვეთით.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი რეალიზაციის მომენტში ან როდესაც იგი სამუდამოდაა ამოღებული მოხმარებიდან და მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის. აღიარების შეწყვეტის მომენტში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი. აღნიშნული იანგარიშება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ წმინდა მოგებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და შედის აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივები გასაუფასურებელია. თუ ამგვარი ნიშანი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის დადგენილი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინომ ანგარიშ

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

მარაგები. მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

გრძელვადიანი მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებსა და ტექნიკური მომსახურების სახარჯ მასალებს, რომლებიც დამოუკიდებელი ერთეულებია და საჭიროებისამებრ გამოიყენება საწარმოო პროცესში.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც კომპანიას უზნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო დღეს მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო სავარაუდო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება (თუ დროში ფულის ღირებულების ეფექტი არსებითი ოდენობისაა).

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება. ისინი განიმარტება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, თუ ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებ სავარაუდო არაა. პირობითი აქტივების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, ისინი განიმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოდინების მოლოდინი რეალურია.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას (მაგრამ არა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისას), თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება.

ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას, დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები. ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, კლასიფიკაციის მიხედვით, თავდაპირველად შემდგომი აღიარებისას სრულად ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელებზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელებით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ

თბილისი თამბაქო

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შემდეგ პირობებს აკმაყოფილებს, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება სხვა სრულ შემოსავალში:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვის მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს.

ჩვეულებრივ, ყველა სხვა ფინანსური აქტივი შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თავდაპირველი აღიარებისას კომპანია შეიძლება მიიღოს შემდეგი შეუქცევადი გადაწყვეტილებები:

- შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულებით შემდგომი ცვლილება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში; და
- ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი სავალო ინსტრუმენტი შეუქცევადად დაადგინოს, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ითვალისწინება, თუ ასეთი ქმედება მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს საბუღალტრო შეუსაბამობას.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი - ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებელი ფინანსური აქტივების (ანუ ისეთი ფინანსური აქტივებისა, რომელთა საკრედიტო ხარისხი გაუარესებულია უკვე თავდაპირველი აღიარებისას) გარდა, სხვა ფინანსური აქტივებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოღინებების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმების თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებელი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კრედიტ-კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, მაგრამ არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, დისკონტირებით საწყისი აღიარებისას დადგენილი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება არის ის ღირებულება, რომლითაც ფინანსური აქტივი ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, ძირითადი თანხის გადახდის გამოკლებითა და კუმულატიური ამორტიზაციის დამატებით, ამ საწყის ოდენობასა და ვადის ბოლოს ოდენობას შორის არსებულ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებითა და ზარალის რეზერვის კორექტირებით. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება არის ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება ზარალის რეზერვით კორექტირებამდე.

შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებელი ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი იანგარიშება ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

აღნიშნული არ ეხება იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საკრედიტო ხარისხი საწყისი აღიარების შემდგომ გაუთარესდა. მათ შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე.

თუ შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში კრედიტგაუარესებული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი გაუმჯობესდა და ფინანსური აქტივი აღარ ითვლება კრედიტგაუარესებულად, საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე.

შესყიდული ან წარმოშობილი კრედიტგაუარესებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დადგენილ ამორტიზებულ ღირებულებაზე. განგარიშებაში მთლიანი საბალანსო ღირებულება არ გამოიყენება მაშინაც კი, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი შემდგომში უმჯობესდება და ფინანსური აქტივი კრედიტგაუარესებულად აღარ ითვლება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან დადგენილი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვადასხვა კონტრაგენტზე გაცემული სესხების ჩათვლით) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც არ შეეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი არაარსებობს.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს მოთხოვნამდე ან სამ თვემდე საწყისი ვადის დეპოზიტებს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ შედის შეზღუდული ნაშთები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. შეზღუდული ფული მოიცავს ისეთ ნაშთებს, რომლებიც არ შეიძლება გაცივალოს ან გამოყენებული იქნას ვალდებულების დასაფარად სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის აღრიცხავს. კომპანია მსზ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს.

ამდენად, კომპანია საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვის ანარცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მთელი სიცოცხლის ვადის განმავლობაში არსებული მსზ-ს საფუძველზე. კომპანია იყენებს ინდივიდუალურ მიდგომას მნიშვნელოვანი კლიენტების მიმართ, ხოლო სხვების მიმართ შემუშავებული აქვს დარეზერვების მატრიცა. ორივე მიდგომა დაფუძნებულია ისტორიულ საკრედიტო ზარალის გამოცდილებაზე, რომელიც კორექტირდება დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებული საპროგნოზო ფაქტორებით.

კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს გადეფოლტებულად, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება, ასევე, მიიჩნიოს ფინანსური აქტივი გადეფოლტებულად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებს საკონტრაქტო თანხებს სრულად, სანამ არ გაითვალისწინებს კომპანიის საკრედიტო მდგომარეობის გადახედვას. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აღდგენის შესახებ.

ფინანსური აქტივი გადეფოლტებულად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება, აგრეთვე, ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოულებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯით – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და

თბილისი თამბაქო

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ, მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა - კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით (FVTOCI) ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვეითება პირდაპირ კაპიტალიდან. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია აღებული სესხებითა და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტის ვალდებულება

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის კონტრაქტი, რომელიც მოითხოვს ემიტენტისგან განსაზღვრული გადასახადების გადახდას მფლობელს ზარალის ანაზღაურებისთვის, რომელიც მას მიაღდა იმის გამო, რომ მითითებული მოვალე ვერ ახორციელებს გადახდებს ვადის გასვლისას სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტის ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და თუ არ არის მიჩნეული FVTPL-დ და არ წარმოიქმნება აქტივის გადაცემიდან, შემდგომში აღიარდება მათ შორის უმაღლესი ღირებულებით:

- ფასს 9-ის შედეგად განსაზღვრული გაუფასურების თანხით (იხილეთ ფინანსური აქტივები ზემოთ);

Handwritten signature

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

- თავდაპირველად აღიარებულ თანხა კუმულაციური ამორტიზაციის გამოკლებით, რომელიც აღიარებულია ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლების აღიარების პოლიტიკის შესაბამისად.

როდესაც ვალდებულება ჩნდება ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ მხარეებთან ტრანზაქციებისას ანაზღაურების გარეშე, ამოღებული ვალდებულების სამართლიანი ღირებულება უნდა იყოს აღიარებული, როგორც კაპიტალის შენატანი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტებისთვის თარიღი, როდესაც კომპანია ხდება შეუქცევადი ვალდებულების მხარე, ითვლება პირველადი აღიარების თარიღად ფინანსური ინსტრუმენტის გაუფასურების შეფასების მიზნით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი მატების შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს რისკში არსებულ ცვლილებებს, რომ მოვალე შესაძლოა, გადევფოლტდეს.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში. გარიგებები აქციონერთან აღირიცხება კაპიტალში.

სხვა განაწილება. განაწილებები აღიარდება კაპიტალში, როდესაც კომპანია შეუქცევად ვალდებულებას იღებს, გადასცეს ფულადი სახსრები ან არაფულადი აქტივები თავის აქციონერს/საბოლოო აქციონერს და ვალდებულების ოდენობის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული ალუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, ალუდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

ერი მსხილი

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება კორექტირების გაკეთების იმავე პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირებისა და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული შეფასებები

ქვემოთ მოცემულია კრიტიკული შეფასებები, გარდა იმ შეფასებებისა (იხ. ქვემოთ), რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობამ გააკეთა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

ფინანსური გარანტიის ვალდებულების შეფასება - ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური გარანტიის კონტრაქტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში იზომება მათ შორის უმაღლესით: 1) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა და ბ) თავდაპირველად აღიარებულ თანხა კუმულაციური ამორტიზაციის გამოკლებით. გარანტიის საწყისი სამართლიანი ღირებულება შეფასდა საგარანტიო საკომისიოს წლიური შეფასებით, რომელსაც გადაიხდიდა მესამე მხარე საბაზრო პირობებში ტრანზაქციის განხორციელებისას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ძირითადი სავალო ინსტრუმენტების 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის (PD) გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება შემცირებული აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხით აღემატებოდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 20).

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში - გარანტიის კონტრაქტის მიხედვით, თუ მსესხებელმა ვერ დაფარა სესხი, გარანტორები ვალდებულები არიან სრულად დაფარონ დარჩენილი სესხის ნაშთის 100%, დარიცხული პროცენტი, ჯარიმები, საკომისიო და ნებისმიერი წარმოშობილი ფინანსური ვალდებულება. შესაბამისად, კომპანიამ LGD და EAD განაკვეთები განსაზღვრა როგორც 100%.

დეფოლტის ალბათობა - გარანტიის მიმღები (სხვა დაკავშირებული მხარე) არ არის შეფასებული მუდისა ან ფიტჩის მიერ, შესაბამისად, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა ყველაზე მაღალი PD განაკვეთი - 8.24% და 25.03% (PD განაკვეთები კორპორატიული ემიტენტებისთვის, რომლებიც შეფასდა ყველაზე დაბალი რეიტინგით - "Ca-C" მუდის ინვესტორების მომსახურების მიხედვით) 2024 და 2023 წლებისთვის, შესაბამისად.

5. ამონაგები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის მთლიანი შემოსავალი მიღებული იქნა შემდეგი გაყიდვებიდან:

	2024	2023
ამონაგები სიგარეტის გაყიდვიდან	44,888	42,569
ამონაგები იჯაროდან	96	97
სულ	44,984	42,666

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის გაყიდვების 95% და 94%, შესაბამისად, იყო დაკავშირებული მხარეებისგან.

Handwritten signature

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

6. ამონაგების თვითღირებულება

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის მიერ გაყიდული საქონლის თვითღირებულება იყო:

	2024	2023
პირდაპირი მასალები	22,194	24,131
პირდაპირი შრომითი დანახარჯები	2,462	2,282
ცვეთა	294	315
სხვა საოპერაციო ხარჯები	452	513
სულ	25,402	27,241

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები იყო:

	2024	2023
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	3,850	3,572
ცვეთა და ამორტიზაცია	362	331
რემონტი და შენახვა	222	204
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	112	91
დაზღვევის ხარჯები	33	34
ბანკის საკომისიო	21	20
სხვა ხარჯები, წმინდა	230	315
სულ	4,830	4,567

8. ფინანსური შემოსავალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის ფინანსური შემოსავალი იყო:

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური გარანტიებიდან	1,808	1,458
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან	96	349
საპროცენტო შემოსავალი ბანკში განთავსებული თანხებიდან	2	9
სულ	1,906	1,816

ი.ი.ი. მახარაძე

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

9. სხვა შემოსავალი და სხვა ხარჯები

	2024	2023
სხვა შემოსავალი		
სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩამოწერა	963	31
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	288	138
სულ სხვა შემოსავალი	1,251	169
სხვა ხარჯი		
მარაგების ჩამოწერა, წმინდა	(1,028)	-
სულ სხვა ხარჯი	(1,028)	-

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა 963 ლარისა და 31 ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ვალდებულებების ჩამოწერა, რომლებიც გადაუხდელი იყო და არ ყოფილა მოთხოვნილი სამი წლის განმავლობაში.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიამ განსაზღვრა ძნელად-ბრუნვადი მარაგები, რომლებსაც არ ჰქონდათ რეალიზებადი ღირებულება. შესაბამისდ, ასეთი მარაგების საბალანსო ნაშთები ჩამოიწერა ხარჯებში.

ინაო მახაჩაძე

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშნა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	გამოყენებული ძირითადი საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი 2023	3,209	12,250	6,310	3,482	532	25,783
შესაძღვა	-	-	-	146	82	228
რეალიზაცია	-	-	-	(43)	-	(43)
ტრანსფერი	-	-	-	(135)	135	-
31 დეკემბერი 2023	3,209	12,250	6,310	3,450	749	25,968
შესაძღვა	-	137	-	-	-	137
რეალიზაცია	-	-	-	(1)	(1)	(2)
ტრანსფერი	-	-	44	(56)	12	-
31 დეკემბერი 2024	3,209	12,387	6,354	3,393	760	26,103
დაგროვილი ცვლილება						
1 იანვარი 2023	-	(1,169)	(1,978)	-	(225)	(3,372)
წლიური ცვლილება	-	(214)	(315)	-	(97)	(626)
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(1,383)	(2,293)	-	(322)	(3,998)
წლიური ცვლილება	-	(209)	(294)	-	(106)	(609)
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(1,592)	(2,587)	-	(428)	(4,607)
საბალანსო ნაშთი						
31 დეკემბერი 2024	3,209	10,795	3,767	3,393	332	21,496
31 დეკემბერი 2023	3,209	10,867	4,017	3,450	427	21,970

კომპანიის ძირითადი საშუალებები დაგროვილი ცვლილება ნასესხები სასრების (შენიშვნა 16) და გაცემული გარანტიების ხელშეკრულების (შენიშვნა 20) საფუძველზე გამოყენებული ძირითად საშუალებები შედგება მანქანებისა და აღჭურვილობებისგან, რომელიც საჭიროებს სამონტაჟო სამუშაოებს, რათა გამოსყენებულად მზად იყოს.

7.63 26.10.24

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

11. გაცემული სესხები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების ვადები და პირობები იყო:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	ლარი	12%-17.7%	2025-2027	2,496	1,852
სულ ნასესხები სახსრები:				2,496	1,852
მიმდინარე გრძელვადიანი				133	-
				2,363	1,852
				2,496	1,852

12. მარაგები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	10,399	10,704
დაუმთავრებელი წარმოება	116	158
მზა პროდუქცია	752	2,254
სულ მოკლევადიანი მარაგები	11,267	13,116
გრძელვადიანი მარაგები	2,655	2,602
სულ მარაგები	13,922	15,718

გრძელვადიანი მარაგები მოიცავს სათადარიგო ნაწილებსა და ტექნიკური მომსახურების სახარჯ მასალებს, რომლებიც დამოუკიდებელი ერთეულებია და საჭიროებისამებრ გამოიყენება საწარმოო პროცესში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში ხარჯებდად აღიარებული მარაგების ღირებულება იყო 23,681 ლარი და 24,152 ლარი, შესაბამისად.

13. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ბანკებში	3,277	140
ნაღდი ფული სალაროში	2	1
სულ	3,279	141

ბანკში განთავსებული არც ერთი ნაშთი ვადაგადაცილებული არ არის. მათზე გაუფასურების ზარალის აღიარება არ მომხდარა მათი მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე. საბანკო ნაშთებში შედის

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

საქართველოში, ბანკებში მოქმედი მიმდინარე ანგარიშები და ისინი გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობისთვის.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის უმეტესობა განთავსებულია „ფიტრ რეიტინგის“ მიერ მოკლევადიანი B და გრძელვადიანი BB- რეიტინგის მქონე ბანკებში.

14. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები, ამოუღებელი თანხების რეზერვის გამოკლებით, იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	15,842	11,584
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(574)	(221)
სულ	15,268	11,363

სავაჭრო მოთხოვნების 99% დაკავშირებულია „გეოდისტრიბუციასთან“, რომელიც 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენს ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ პირს.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს თანხებს, რომლებიც აღიარებულია როგორც ამ გაყიდვებთან დაკავშირებული შემოსავალი, სააქციზო გადასახადი და დამატებული ღირებულების გადასახადი.

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს ამ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. კომპანია ამ ნაშთებზე რაიმე სახის უზრუნველყოფას არ ფლობს.

ანალიზი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ვადიანობის მიხედვით:

31 დეკემბერი 2024	ვადაგადაუცი ლებელი	30 დღემდე	31-90 დღის	90 დღეზე	სულ
		ვადაგადაცილე ბა	ვადაგადაცილ ება	მეტი ვადაგადაცი ლება	
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	15,580	-	-	262	15,842
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(312)	-	-	(262)	(574)
მსზ განაკვეთი	2%	-	-	100%	4%
31 დეკემბერი 2023					
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას, სულ	11,192	83	36	273	11,584
მსზ მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში	(1)	-	(1)	(219)	(221)
მსზ განაკვეთი	-	-	3%	80%	2%

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მთელი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის ოდენობის თანხით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე ფასდება დებიტორის დეფოლტის წარსული გამოცდილებითა და დებიტორის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის ანალიზით, რომელიც დებიტორისთვის სპეციფიური ფაქტორებითა და მისი დარგის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით კორექტირდება. მხედველობაში მიიღება აგრეთვე ანგარიშგების თარიღში არსებული სიტუაციის საპროგნოზო მიმართულება და არსებული ვითარება. კომპანიამ 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე ყველა ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნის ზარალის რეზერვი 100%-ით შეფასა,

ინ თ მსზ ს ქ

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

რადგან ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს მოთხოვნები ამოღებას აღარ ექვემდებარება. ზოგიერთი კონტრაგენტისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასდა, კომპანიამ მხედველობაში მიიღო საპროგნოზო ფულადი ნაკადები და მათ საფუძველზე განსაზღვრა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნას ჩამოწერს, როდესაც არსებობს იმის მანიშნებელი ინფორმაცია, რომ დებიტორი მძიმე ფინანსურ სირთულეს განიცდის და თანხის ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია მთლიანი სასიცოცხლო ვადის მსზ-ის მოძრაობა, რომელიც აღიარებული იქნა სავაჭრო მოთხოვნებზე ვასს 9 სტანდარტში აღწერილი გამარტივებული მიდგომის შესაბამისად:

	მოსალოდნელი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	136
გაუფასურების ზარალი, წმინდა	85
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	221
გაუფასურების ზარალი, წმინდა	353
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	574

15. გაუნაწილებელი მოგება

2024 და 2023 წლების განმავლობაში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები იყო 11,701 ლარი და 8,010 ლარი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 42,643 ლარი და 39,569 ლარი, შესაბამისად.

16. ნასესხები სახსრები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხების ვადები და პირობები იყო:

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები	ლარი	ცვლადი- 12.5%	2025-2027	5,964	6,071
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სახსრები	აშშ დოლარი	ფიქსირებულ ი - 9.5%	2025	4,098	3,927
სულ ნასესხები სახსრები:				10,062	9,998
მიმდინარე გრძელვადიანი				9,169	9,998
				893	-
				10,062	9,998

ინო მახარაძე

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში იყო:

	მოძრაობა
წმინდა სესხი 1 იანვარი 2023	10,170
დამატება ძირ თანხაზე	93,699
დარიცხული პროცენტი	1,061
გადახდილი ძირი თანხა	(93,853)
გადახდილი პროცენტი	(1,053)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება, წმინდა	(26)
წმინდა სესხი 31 დეკემბერი 2023	9,998
დამატება ძირ თანხაზე	97,348
დარიცხული პროცენტი	1,036
გადახდილი ძირი თანხა	(97,455)
გადახდილი პროცენტი	(1,036)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი, წმინდა	171
წმინდა სესხი 31 დეკემბერი 2024	10,062

17. საკონტრაქტო ვალდებულება

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულ ავანსებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის გაყიდვებთან. კომპანია აღიარებს მათ, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, სანამ საქონელი არ მიეწოდება მომხმარებელს.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, თუ ვალდებულებები სამი წლის განმავლობაში გადაუხდელია და მთელი პერიოდის განმავლობაში არ ყოფილა მოთხოვნილი, ვალდებულებები შეიძლება ჩამოიწეროს. ხელმძღვანელობამ ისარგებლა ზემოაღნიშნული უფლებით და გადაწყვიტა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ჩამოეწერა სახელშეკრულებო ვალდებულებები 963 ლარისა და 31 ლარის ოდენობით (შენიშვნა 9), შესაბამისად.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს საკონტრაქტო ვალდებულება შეადგენდა 35 ლარსა და 953 ლარს, შესაბამისად.

18. გადასახდელი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი/გადასახადი გადასახადები მოიცავდა დღგ-ს, აქციზის და სხვა საგადასახადო გადასახდელები. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

19. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელი მომწოდებლების მიმართ	1,215	2,867
სხვა გადასახდელი	13	13
სულ	1,228	2,880

Handwritten signature

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ქართულ ლარში)

20. ფინანსური გარანტიის ვალდებულება

2020 წლის 9 ივნისს, კომპანიამ შპს „თობაქო ჰოლდინგთან“ და შპს „გეოდისტრიბუციასთან“ ერთად (შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენის“ ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები) ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას კომერციულ ბანკთან. ხელშეკრულების საგანი იყო სხვა დაკავშირებული მხარის მიერ 2016 წლის 27 ივლისსა და 2016 წლის 27 ივლისს კომერციული ბანკიდან ორი სესხის გარანტიორის როლის შესრულება. ორივე სესხს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 6%-ის ოდენობით და მათი ვადა 2026 წლის 26 დეკემბრამდეა.

შპს „გეოდისტრიბუციის“, სს „თბილისის თამბაქოს“ და შპს „თობაქო ჰოლდინგის“ გარანტიის ლიმიტი მთლიანობაში 95,431 ლარს (34,000 აშშ დოლარი) შეადგენს, თუმცა, 2024 წლის 31 დეკემბრისა და ხელმოწერის თარიღის მდგომარეობით, ეს თანხა, რომლებზეც კომპანიები გამოდიან გარანტიორებად, შეადგენს 27,078 ლარსა (9,647 აშშ დოლარი) და 22,237 ლარს (8,220 აშშ დოლარი), შესაბამისად.

კომპანიას არ მიუღია რაიმე პრემია გაცემული ხელშეკრულებისთვის, შესაბამისად, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მეთოდით, რომელიც რაოდენობრივად ასახავს გარანტიის ეკონომიკურ სარგებელს მფლობელისთვის. საგარანტიო ხელშეკრულების დადებისას განაკვეთი შეადგენდა 2.5%-ს, რის შედეგადაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 13,021 ლარის ფინანსური გარანტიის ვალდებულება იქნა აღიარებული.

2023 წლის მარტში ზემოთხსენებული სესხების და გარანტიის ვადა გაიზარდა ორი წლით. ახალი ხელშეკრულება შეესაბამება ფასს 9-ით მოთხოვნილ ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმს. შესაბამისად, მანამდე აღიარებული ფინანსური გარანტიის ვალდებულების აღიარება შეწყდა და ახალი ნაშთი აღიარდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება აღიარებისას განისაზღვრა იგივე მეთოდით, რომელიც რაოდენობრივად ასახავს გარანტიის ეკონომიკურ სარგებელს მფლობელისთვის და განაკვეთმა შეადგინა 3%.

კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბრისთვის დაიანგარიშა ახალი ინსტრუმენტის ამორტიზირებული ღირებულება 9%-იანი დისკონტის განაკვეთით, რომელიც წარმოადგენს 2023 წლის მარტში გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა გარანტიის ქვეშ არსებული დავალიანებების ვადაგადაცილებულობის სტატუსი, მოვალეთა ფინანსური მდგომარეობა, ასევე იმ ინდუსტრიების ეკონომიკური მდგომარეობა, სადაც ისინი საქმიანობენ, და დაასკვნა, რომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. შესაბამისად, კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისთვის ზარალის რეზერვი განისაზღვრა ისეთი ოდენობით, რომელიც უდრის Moody's საკრედიტო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ არარეიტინგული კომპანიებისთვის 12-თვიან მსზ განაკვეთს.

ამ ფინანსური ინსტრუმენტების ზარალის რეზერვის შეფასებისას არ მომხდარა ცვლილება შეფასების ტექნიკაში ან მნიშვნელოვან დაშვებებში, რომლებიც გაკეთებულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში. ორივე წელს ზარალის რეზერვის ოდენობა უფრო დაბალია, ვიდრე პრემიას გამოკლებული კუმულაციური ამორტიზაცია, შესაბამისად, მოგება-ზარალში არ იქნა აღიარებული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების ზარალის რეზერვი.

ნიმე მხარს

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და ფინანსური გარანტიის ვალდებულებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორცაც სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები და ფული და ფულის ექვივალენტები.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	3,279	141
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	15,268	11,363
გაცემული სესხები	2,496	1,852
სულ ფინანსური აქტივები	21,043	13,356
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	10,062	9,998
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,228	2,880
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	9,252	10,627
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,542	23,505

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია:

	საქართველო	სხვა არა ეთგო ქვეყნები	ეთგო ქვეყნები	სულ 31 დეკემბერი 2024
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,279	-	-	3,279
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	15,267	1	-	15,268
გაცემული სესხები	2,496	-	-	2,496
სულ ფინანსური აქტივები	21,042	1	-	21,043
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	10,062	-	-	10,062
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	499	-	729	1,228
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	9,252	-	-	9,252
სულ ფინანსური ვალდებულებები	19,813	-	729	20,542
წმინდა პოზიცია	1,229	1	(729)	501

ინო მხარე

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

	საქართველო	სხვა არა ეთგო ქვეყნები	ეთგო ქვეყნები	სულ 31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	141	-	-	141
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10,900	463	-	11,363
გაცემული სესხები	1,852	-	-	1,852
სულ ფინანსური აქტივები	12,893	463	-	13,356
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	9,998	-	-	9,998
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	244	2,418	218	2,880
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	10,627	-	-	10,627
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,869	2,418	218	23,505
წმინდა პოზიცია	(7,976)	(1,955)	(218)	(10,149)

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს. კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 2,704 ლარისა და 463 ლარის ოდენობის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებები აშშ დოლარში, რომელიც მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, შეადგენს 729 ლარსა და 2,766 ლარს, შესაბამისად, ფინანსური გარანტიის ვალდებულებას 9,252 ლარისა და 10,627 ლარის ოდენობით, შესაბამისად, და ნასესხებ სახსრებს 4,098 ლარისა და 3,928 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

31 დეკემბერი 2024

აშშ დოლარი ზეგავლენა	
ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%

მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე

(2,275)

2,275

31 დეკემბერი 2023

აშშ დოლარი ზეგავლენა	
ლარი/აშშ დოლარი + 20%	ლარი/აშშ დოლარი - 20%

მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე

(3,372)

3,372

ბ. ი. მ. მ. მ. მ. მ.

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

მგრძობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად,

კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას. დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება და ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიისთვის არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი უკვე დაფიქსირებული რეზერვების მიღმა.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია მაღალია იმის გამო, რომ კლიენტების ბაზა მცირე და ურთიერთდაკავშირებულია. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების 99% დაკავშირებულ მხარეებზე მოდის. 2024 და 2023 წლების განმავლობაში დაკავშირებული მხარეებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა მთლიანი გაყიდვების 95% და 94%, შესაბამისად.

გარდა ამისა, კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს სხვა დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით, როგორც ეს აღწერილია 23-ე შენიშვნაში. კომპანიის მაქსიმალური ექსპოზიცია ამ კუთხით არის მაქსიმალური თანხა, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს, თუ გარანტია ამოქმედდება. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 762 ლარი და 2,248 ლარი შეფასებული იყო, როგორც ზარალის რეზერვი ფასს 9-ის შესაბამისად, თუმცა, ზარალის რეზერვი არ იყო აღიარებული მოგებას ან ზარალში, რადგან სამართლიანი ღირებულებას გამოკლებული კუმულაციური თანხა, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, უფრო მაღალი იყო, ვიდრე ზარალის რეზერვის მოსალოდნელი თანხა.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინ მ მ ა მ ა მ ა მ

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

ცხრილში შესული ფინანსური გარანტიის კონტრაქტების თანხები არის მაქსიმალური თანხა, რომლის გადახდა შესაძლოა მოუწიოს კომპანიას სრული საგარანტიო თანხის ფარგლებში, თუ ამ თანხას მოითხოვს გარანტიის კონტრაგენტი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოლოდინებიდან გამომდინარე, კომპანია მიიჩნევს, რომ უფრო სავარაუდოა, რომ შეთანხმების ფარგლებში არ იქნება გადასახდელი თანხა. თუმცა, ეს შეფასება ექვემდებარება ცვლილებას იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სავარაუდოა, რომ კონტრაგენტი მოითხოვს გარანტიას, რაც არის იმის ალბათობა, რომ კონტრაგენტის მიერ გარანტირებული ფინანსურმა ვალდებულებამ დავალიანებამ განიცადოს საკრედიტო ზარალი.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1+ წელი	სულ	საბალანსო ნაშთი
31 დეკემბერი 2024						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,228	-	-	-	1,228	1,228
ნასესხები სახსრები	64	128	9,511	963	10,666	10,062
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	648	1,297	5,835	23,341	31,121	9,252
	<u>1,940</u>	<u>1,425</u>	<u>15,346</u>	<u>24,304</u>	<u>43,015</u>	<u>20,542</u>
	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1+ წელი	სულ	საბალანსო ნაშთი
31 დეკემბერი 2023						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,880	-	-	-	2,880	2,880
ნასესხები სახსრები	342	632	9,668	-	10,642	9,998
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	621	1,243	5,591	29,980	37,435	10,627
	<u>3,843</u>	<u>1,875</u>	<u>15,259</u>	<u>29,980</u>	<u>50,957</u>	<u>23,505</u>

სს „თბილისის თამბაქო“

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ათას ქართულ ლარში)

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს აქციონერებს, მეკავშირე საწარმოებს, კომპანიის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და ძირითადი მმართველი პესონალის შემადგენლობას. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიას გააჩნია შემდეგი ნაშთები:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის				
მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	15,435	-	15,435
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	(316)	-	(316)
გაცემული სესხი	1,370	124	1,002	2,496
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	-	-	9,252	9,252
შემოსავალი	-	42,679	31	42,710
ფინანსური შემოსავალი	52	9	1,845	1,906
საკურსო სხვაობით მიღებული წარალი	-	-	(434)	(434)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის				
მშობელი კომპანია	პირები ერთობლივ კონტროლქვეშ	სხვა	სულ	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	-	10,690	-	10,690
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	(1)	-	(1)
გაცემული სესხი	962	-	890	1,852
ფინანსური გარანტიის ვალდებულება	-	-	10,627	10,627
შემოსავალი	-	35,267	-	35,267
ფინანსური შემოსავალი	249	109	1,458	1,816
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	-	-	59	59

ხელმძღვანელობის ანაზღაურება

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში შეადგინა 1,687 ლარი და 1,566 ლარი, შესაბამისად.

ინო მუსხელიძე

სს „თბილისის თამბაქო“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათას ქართულ ლარში)

23. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ფინანსური გარანტიები - 2020 წლის 9 ივნისს, კომპანიამ შპს „თობაქო ჰოლდინგთან“ და სს „თბილისის თამბაქოსთან“ ერთად (შპს „სმარტ კაპიტალ ფროდაქშენის“ ერთობლივი კონტროლის ქვეშ არსებული პირები) ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას კომერციულ ბანკთან. ხელშეკრულების საგანი იყო სხვა დაკავშირებული მხარის მიერ 2016 წლის 27 ივლისსა და 2016 წლის 27 ივლისს კომერციული ბანკიდან ორი სესხის გარანტორის როლის შესრულება. ორივე სესხს ერიცხება საპროცენტო განაკვეთი 6%-ის ოდენობით და მათი ვადა 2026 წლის 26 დეკემბრამდეა.

2023 წლის მარტში ზემოთხსენებული სესხების და გარანტიის ვადა გაიზარდა ორი წლით. ახალი ხელშეკრულება შეესაბამება ფასს 9-ით მოთხოვნილ ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმს. შესაბამისად, მანამდე აღიარებული ფინანსური გარანტიის ვალდებულების აღიარება შეწყდა და ახალი ნაშთი აღიარდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „გეოდისტრიბუციის“, სს „თბილისის თამბაქოს“ და შპს „თობაქო ჰოლდინგის“ გარანტიის ლიმიტი მთლიანობაში 95,431 ლარს (34,000 აშშ დოლარი) შეადგენს, თუმცა, 2024 წლის 31 დეკემბრისა და ხელმოწერის თარიღის მდგომარეობით, ეს თანხა, რომლებზეც კომპანიები გამოდიან გარანტორებად, შეადგენს 27,027 (9,645 აშშ დოლარი) და 23,071 ლარს (8,220 აშშ დოლარი), შესაბამისად.

სამართლებრივი დავები - 2020 წლის სექტემბერში დაიწყო სარჩელი კომპანიის წინააღმდეგ უფილტრო თამბაქოსთან დაკავშირებული საპატენტო უფლებების დარღვევის შესახებ და მოეთხოვა კომპენსაცია 50,000 ათასი ლარის ოდენობით. სასამართლო პროცესი აქტიურია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შემდგომ პერიოდში. კომპანიის ხელმძღვანელობამ ჩაატარა სამართლებრივი საქმის ანალიზი და დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული სარჩელიდან ფულის გადინება არ არის სავარაუდო.

გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციათა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 2022-2024 წლები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება მეტად სხვადასხვა რისკებით, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები. ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებს. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016-2021 განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში. ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

ნ ა თ მ ა ხ ა მ ა ხ

სს „თბილისის თამბაქო“

მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

კომპანიის ბიზნესის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

სს „თბილისის თამბაქო“ თამბაქოს ნაწარმის წამყვანი მწარმოებელია ქართულ ბაზარზე. კომპანიის ყველაზე ძლიერი ბრენდი „პირველი“ არის ერთ – ერთი ყველაზე გაყიდვადი ბრენდი საქართველოში.

კომპანია მუშაობს 1998 წლიდან და წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის ერთ – ერთ უმსხვილეს მწარმოებელს ქართულ ბაზარზე. კომპანიის საწარმოო ქარხანა მდებარეობს დედაქალაქ თბილისში. წლების განმავლობაში კომპანიამ მოიპოვა სტაბილური და საიმედო პარტნიორის რეპუტაცია. კომპანია ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას ადგილობრივი პროფესიონალების დასაქმებით.

2011 წელს შეიცვალა აღმასრულებელი ხელმძღვანელობის საბჭო, რის შემდეგაც კომპანიის ბიზნეს სტრუქტურა შპს –დან სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა.

კომპანია ყიდის ორი ტიპის პროდუქტს: თამბაქოს და სიგარეტებს.

თამბაქოს პროდუქტები

2019 წლის მეორე ნახევარში აქციზი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც შეამცირა სიგარეტის ხელმისაწვდომობა და მისი საერთო ბაზარი. კომპანიამ ამ გამოწვევას წარმატებით უპასუხა შეფუთული თამბაქოს წარმოებით, რომელიც პირველი იყო ბაზარზე. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ხარისხისა და ფასის თამბაქოს. თამბაქოს ძირითადი პროდუქტები აღწერილია ქვემოთ:

თამბაქო პირველი – ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი მარკით – წითლითა და ლურჯით და ორი – 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ეს თამბაქო გამოირჩევა უნიკალური გემოთი და ხელმისაწვდომი ფასით და არის მაღალი ხარისხისა და გონივრული ფასის დაბალანსების კარგი მაგალითი.

თამბაქო რიო – ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2019 წლის ნოემბერში. იგი წარმოდგენილია ორი – 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. რიოს უნიკალურმა ბლენდმა უზრუნველყო მისი სწრაფი გავრცელება საქართველოს ბაზარზე.

თამბაქო ამერიკან გოლდი – ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2019 წლის დეკემბერში. იგი წარმოდგენილია ორი – 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. კონკურენტულმა ფასმა და მაღალი ხარისხის თამბაქომ თავიდანვე მიიზიდა ბევრი მწვეელი.

თამბაქო ბრიტიშ როიალი – ეს პროდუქტი ბაზარზე გავიდა 2020 წლის ივლისში. იგი წარმოდგენილია ორი – 50 გრ და 100 გრ შეფუთვით. ბრიტიშ როიალი უმაღლესი ხარისხის თამბაქოა და ბაზარზე გასვლისთანავე დიდი პოპულარობა შეიძინა.

სიგარეტი

„პირველი“ სიგარეტის პირველი ქართული ბრენდია. პროდუქტის მაღალი ხარისხისა და მთელ ქვეყანაში ხელმისაწვდომობის გამო მან მკვიდრად მოიკიდა ფეხი ბაზარზე და დიდი რაოდენობის ერთგული მწვეელი ჰყავს.

„პირველი ინტერ წითელი“ – „პირველი ინტერი“ საქართველოს ბაზარზე ერთერთი ყველაზე გაყიდვადი ბრენდია და პირველია, რომელიც კლიენტებს ჩვენმა კომპანიამ შესთავაზა. იგი წარმოდგენილია „პირველი ინტერ რედითა“ და „პირველი ინტერ ბლუთი“. ეს ორი მარკა კონსისტენტურობით განსხვავდება.

„პირველი პრემიუმ ბლუ“ – „პირველის“ ბრენდი „პირველი პრემიუმის“ შემოტანით გაფართოვდა. მაღალი ხარისხის თამბაქოსა და ბრენდის მაღალი სანდოობის წყალობით „პირველი პრემიუმმა“ სწრაფად მოიპოვა ერთგული მომხმარებლები და გახდა ქართული ბაზრის ერთერთი ყველაზე წარმატებული ბრენდი.

სიგარეტი „ამერიქან გოლდი“ – 2023 წელს კომპანიამ წარმოადგინა „ამერიქან გოლდი“, მაღალი ხარისხის სიგარეტი, რომელიც გამოირჩევა ისეთი ცნობილი ნარეგებით, როგორცაა ვირჯინია, ორიენტალი, ბარლი და სხვა.

ელექტრონული სიგარეტები – 2022 წელს ელექტრონული სიგარეტის პოპულარობის სწრაფი ზრდის გამო, კომპანიამ ახალი პროდუქტის დანერგვა გადაწყვიტა – მომხმარებლებისთვის, რომლებიც ზოგადად ცდილობენ მოწვეას თავის დაწებებას.

ინ მ. ხ. მ. ხ. მ. ხ.

სს „თბილისის თამბაქო“

მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

სადისტრიბუციო ქსელის არსებობით მთელ ქვეყანაში, კომპანიის პროდუქცია ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა რეგიონში. სადისტრიბუციო მომსახურებას ექსკლუზიურად ახორციელებს შპს „გეოდისტრიბუცია“.

მიმდინარეობს არსებული პროდუქტების მუდმივი გაუმჯობესება და ახალი ბრენდების დანერგვა, რაც შეესაბამება მომხმარებელთა მოთხოვნებს და არის კორპორაციული მენეჯმენტის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი.

კომპანია კონკურენციას უწევს პირველ რიგში პროდუქტის ხარისხის, ბრენდის აღიარების, ბრენდის ერთგულების, გემოვნებისა და საცალო ფასების საფუძველზე.

კომპანიის სტრატეგია არის მაღალი ხარისხის თამბაქოს ნაწარმის წარმოება და გაყიდვა მიზნობრივ მომხმარებელზე. მთავარი მიზნის მისაღწევად, კომპანიას ყიდულობს უმაღლესი ხარისხის თამბაქოს ფოთლებს მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისგან.

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(თანხები ნაჩვენებია ათასობით ლარში)

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დააგენერირა შემოსავალი 44,984 ლარის ოდენობით (2023: 42,666). 2024 წელს მთლიანი მოგების მარჯამ შეადგინა 44% (2023: 36%).

	2024	2023
ამონაგები	44,984	42,666
მთლიანი მოგება	19,582	15,425
წმინდა მოგება	14,775	11,714
მთლიანი მოგება (%)	44%	36%
წმინდა მოგება (%)	33%	27%
უკუგება აქტივებზე	26%	22%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.9	2.0

ინი მ. ხ. ა. შ.

სს „თბილისის თამბაქო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვის თაობაზე

2024 და 2023 წლებში კომპანიას აქციები არ უყიდა.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური რისკებისა და რისკების მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკის ერთ-ერთი კომპონენტია საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს ვადის დადგომისას სრულად დავალიანების დაფარვას.

ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს საკრედიტო რისკს, ძირითადად მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. კომპანიაში მოქმედებს იმის უზრუნველყოფის პროცედურები, რომ საქონელი მიეწოდოს სათანადო საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტებს და ალტერნატიული გადახდის პროცედურები იქნას შეთავაზებული (მაგალითად, ავანსად გადახდა).

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება და ფული და ფულის ეკვივალენტები მთლიანად. თუმცა მოთხოვნების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიას იმაზე მეტი ზარალის რისკი, რაც ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვითაა გათვალისწინებული, არ დაეკისრება.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე მოქმედებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკები ძირითადად დაკავშირებულია საქონლის ფასებთან, რასაც ბაზარი განსაზღვრავს კლიენტზე გასაყიდი მაქსიმალური ფასის დაწესებით. იმის მიუხედავად, რომ კომპანიას ქართულ ბაზარზე ფასების დადგენის გარკვეული უნარი გააჩნია, ეს უნარი გარკვეულწილად შეზღუდულია კონკურენტების მოქმედებით, რომლებიც წარმოდგენილია თამბაქოს ნაწარმის ძირითადი იმპორტიორებით და, აგრეთვე, თამბაქოს ნაწარმზე საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ დაწესებული და მზარდი გადასახადებით.

ხელმძღვანელობას რისკის მისაღებ დონეზე ლიმიტი აქვს დაწესებული და რისკები რეგულარულად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ კომპანიას შეიძლება ვერ აარიდოს ზარალი ბაზარზე მეტი არასასურველი მოძრაობის შემთხვევაში.

ფასების დემპინგის რისკი. კომპანია ექვემდებარება ფასის დემპინგის რისკს კონკურენტის მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება სიგარეტის რეალიზაციაზე. 2023 წლის განმავლობაში არსებობდა ეჭვები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტების სავარაუდო დემპინგზე. კომპანიის განცხადების საფუძველზე, კონკურენტის ეროვნულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო, თუმცა, სიგარეტის ბაზარზე მომხდარი ცვლილებების გამო - კონკურენტის პროდუქციაზე გაზრდილი ფასების გამო, ორივე საქმის შეწყვეტა თავად კომპანიამ მოითხოვა. შესაბამისად, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სიგარეტის გაყიდვების მოცულობა წინა ნიშნულს დაუბრუნდება.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები განთავსებულია საქართველოში. ქვეყანა განვითარებადი ბაზრის გარკვეული ნიშნებით ხასიათდება. როგორც ასეთი, კომპანიაზე მოქმედებს საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუარესების რისკი.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში ხელმძღვანელობას დაწესებული აქვს რისკის ლიმიტი. პოზიციები ყოველთვის ურთულად კონტროლდება.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკის კონსერვატიული მართვა გულისხმობს საკმარისი ნაღდი ფულის შენარჩუნებასა და დაფინანსების ხელმისაწვდომობას გარანტირებული საკრედიტო საშუალებების საკმარისი ოდენობით.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს უარყოფითად შეუძლია იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება პოლიტიკური გარემოს ცვლილებებს პოტენციური სამომავლო მოვლენების განჭვრეტისა და აუცილებელი და საკმარისი ცვლილებების გატარების მიზნით.

ი. ი. ი. გ. ხ. ხ. ხ.

სს „თბილისის თამბაქო“

მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

აქციზიანი სიგარეტების მოხმარება კვლავაც მცირდება. ეს შემცირება მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული, მათ შორისაა, გაზრდილი გადასახადები და ფასები, მთავრობის აქტები, მოწვევის მიმართ შემცირებული სოციალური ტოლერანტობა, უწყვეტი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური განუსაზღვრელობა. სიგარეტს მაღალი გადასახადი ერიცხება. შემოთავაზებული და უკვე აღსრულებულია სიგარეტთან დაკავშირებული გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც, სავარაუდოდ, მრავალ იურისდიქციაში კვლავაც გაგრძელდება. გადასახადების ზრდამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს როგორც ჩვენს, ასევე, ინდუსტრიის მომგებიანობაზე.

2024 წლის მაისში თამბაქოსთან დაკავშირებული საგადასახადო რეგულაციები შემსუბუქდა და აქციზი განახევრდა 60 ლარიდან 30 ლარამდე. შესაბამისად, ახალი საგადასახადო ზემოქმედება დადებითად აისახება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციაზე და მენეჯმენტი ელის შემდგომი გაყიდვების მნიშვნელოვან ზრდას.

მომავალი პერსპექტივები

კომპანია გეგმავს თავისი პორტფელის გაფართოებას საერთაშორისო ბაზრებზე მორგებული პროდუქციის შემუშავებით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს პროდუქტები გაზრდის ბაზრის წილს და, შესაბამისად, შემოსავალს.

კომპანიამ აიღო სესხი ადგილობრივი კომერციული ბანკიდან საწყობისა და ლაბორატორიის ასაშენებლად. დამატებით, კომპანია გეგმავს დაიწყო SLIM სიგარეტის წარმოება და ამ მიზნით უკვე შეიძინა შესაბამისი დანადგარები.

ხელმძღვანელობის სახელით:

ილია ქანთარია
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თამაზ შენგელაია
ფინანსური დირექტორი

თბილისი, საქართველო
16 სექტემბერი 2025

თარჯიმანი: ნინო მახარაძე

ნინო მახარაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251330864



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

30.09.2025 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

გიორგი ჭიტაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

80982278228225

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



მე, ნოტარიუსი გიორგი ჭიტაშვილი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №38, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის ნინო მახარაძის (დაბ. 21.03.1991 წელს, პირადი # 01024079993, რეგ. მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 35ბ, ბინა 9, დიპლომის ნომერი HSG # 000131) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. ხელმოწერის ვინაობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების (რომელშიც შესულია ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის # 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 123.00 ლარი, ასევე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 22.14 ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 149.14 ლარი.

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



საქართველო
საბჭოთაო

83

